ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

სესხის ხელშეკრულება N

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ **2024** წელი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი
. კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი - ---------- %
. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - ---------- %

ფინანსური ხარჯი
. კრედიტის გაცემის საკომისიო - ---------- ლარი;

- საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის რეგისტრაციის ხარჯი (ლარში)----------ლარი
- სანოტარო ხარჯები (ლარში)----------ლარი
- საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის მოხსნის ხარჯი (ლარში)თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში----------ლარი
- განაღდების საკომისიო----------ლარი

- კრეფიტინფოს ხარჯი - 5 ლარი;
- სმს მომსახურების საფასური - **0.1** ლარი (**10** თეთრი), გეგმიურად გადახდის წერტილებში, გრაფიკის მიხედვით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად);
- ყოვეთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი+ სმს საკომისიო)= ----------
- ვადის ბოლოს შენატანი (ძირი თანხა+პროცენტი+სმს საკომისიო) = ----------

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

. კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა ---------- **GEL**

- მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა - ---------- ლარი
- კრედიტის ვადა ---------- თვე;
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - ---------- თვე.
- წინსწრების საკომისიო გამოითვლება სესხის წინსწრებით/ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის მომენტში, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად, შეადგენს **2%**-ს, თუ დარჩენილია **24** თვეზე მეტი ვადა, **1%**-ს, თუ დარჩენილია **12**-დან **24** თვემდე ვადა, **0.5%**-ს თუ დარჩენილია **6**-დან **12** თვემდე ვადა და **0%**-ს თუ დარჩენილია **6** თვემდე ვადა.ამასთან, მსესხებელს, ვადამდე შეწყვეტის/რეფინანსირების საკომისიოსთან ერთად დაეკისრება საშეღავათო პერიოდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში დარიცხული პროცენტისა და სხვა გადასახდელების გადახდა.
- ვადაგადაცილების ჯარიმა/პირგასამტეხლო = ვადაგადაცილებული გადასახდელი თანხის **0.50 %** მაგრამ, არაუმეტეს, სესხის მიმდინარე ძირი თანხის **0.27%**-სა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, დარიცხული პირგასამტეხლოს და სხვა ხარჯების (მათ შორის ნებისმიერი სახის

ჯარიმის, საკომისიოს, საურავის) ჯამური ოდენობა არ გადააჭარბებს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძ ირითადი თანხის 1.5 მაგ ოდენობას.

- სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების ---------- ფარგლებში, რომელიც მოქმედია შემდეგი ვადით 36თვით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პე რიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებელზე დამატებით კრედი ტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი თავდებობაქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკ რულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში), მოკლე ტექსტური შეტყო ბინებით (მობილური ტელეფონის ნომერზე), სატელეფონო ზარით ან გამსესხებლისთვის ცნობილ და მომხმარებლის მიერ მოწოდებულ მისამართზე. ამასთა ნ, გამსესხებელი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს/მესაკუთრეს ცვლილება, თ უ ხელშეკრულების პირობები იცვლება მსესხებლის/მესაკუთრის სასარგებლოდ.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - **http: // nbg.gov.ge/cp** და ცხელ ხაზზე **– 032 2 406 406**

შ.პ.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ბერმელი"

სესხის ხელშეკრულება N 130422

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ 15 სექტემბერი 2023 წელი

„გამსესხებელი“ (რეგისტრირებული 12.08.1998წ. საიდენტიფიკაციო #245431108, იურიდიული მისამართი: ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 93/99) შემდგომ „იპოთეკარი“ ან “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ წარმოდგენილი საკრედიტო ექსპერტის ---------- პირადი N---------- სახით

„მსესხებელი“ ფიზიკური----------(დაბადებული----------; პ/ნ ---------- ; მისამართი: საქართველო, ქალაქი ----------) (შემდგომში „მსესხებელი“)

წელს დადებული ---------- საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად მხარეთა შორის ---------- წლის N ---------- საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე მისო იღებს ვალდებულებას მსესხებელზე გასცეს კრედიტი, სესხის სახით. ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს მიღებული სესხი, გადაიხადოს დარიცხული პროცენტი და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

2. ძირითადი პირობები:

2.1 სესხის გაცემის მიზნობრიობა: **საბრუნავი კაპიტალის შევსება;**
2.2 კრედიტის ტიპი: ----------
2.3 სესხის ოდენობა/კრედიტის მთლიანი თანხა და ვალუტა: **----------ლარი;**
2.4 მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: ---------- **ლარი;**
2.5 სესხის გაცემის საკომისიო - სესხის თანხის ----------=---------- **ლარი;**
2.6 სესხის განაღდების საკომისიო - სესხის თანხის ---------
2.7 სესხით სარგებლობის/კრედიტის ვადა: ---------- **თვე;**
2.8 სესხის დაფარვის თარიღი: ---------- **წ**
2.9 გადახდის შუალედი: **1.00 თვე**;
2.10 სესხის მომსახურებისთვის საჭირო ყოველთვიური გადასახდელი: **(ძირითადი თანხა + პროცენტი + სმს საკომისიო) = ---------- ლარი;**
2.11 **ფინანსური ხარჯები:**

საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის რეგისტრაციის ხარჯი (ლარში)	----------	ლარი
სანოტარო ხარჯები (ლარში)	----------	ლარი
საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის მოხსნის ხარჯი (ლარში)თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში	----------	ლარი
განაღდების საკომისიო	----------	ლარი

კრედიტ ინფოს ხარჯი - 5 ლარი.
2.12 ხელზე მისაღები თანხა: ---------- **ლარი**;
2.13 კრედიტის გატანის პერიოდულობა/გატანის თარიღები და გატანების საერთო რაოდენობა:
2.14 სმს მომსახურების საფასური **- 0.1 ლარი (10 თეთრი),** გეგმიურად გადახდის წერტილებში, გრაფიკის მიხედვით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად), ტრანში ათვისების შემთხვევაში გაიზრდება სმს საკომისო იმდენჯერ (10 თეთრით), რამდენი ტრანშის ათვისებაც მოხდება;
2.15 ვადის ბოლო შენატანი - ---------- **ლარი;**

2.16 კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - **ფიქსირებული;**
2.17 თვიური საპროცენტო სარგებელი: ---------- **%;**
2.18 წლიური საპროცენტო განაკვეთი - ---------- **%;**
2.19 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - ---------- **%;**
ამონარიდი სამოქალაქო კოდექსის 625 მუხლის მეორე პუნქტიდან „მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს“
2.20 საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება სესხის აღების მომენტიდან და გრძელდება სესხის ძირი თანხის მსესხებლის მხრიდან ნებაყოფლობით სრულად დაფარვამდე, ან მისოს მიერ სესხის იძულებით ამოღებამდე რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება, ვალდებულების შესრულებამდე.
2.21 საპროცენტო სარგებლის გაანგარიშება ხდება კრედიტით სარგებლობის დღეების შესაბამისად: წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით;
2.22 პირგასამტეხლო შეადგენს ვადაგადაცილებული გადასახდელი თანხის **0.50%**-ს (მაგრამ, ყოველდღიურად არაუმეტეს, სესხის მიმდინარე ძირი თანხის 0.27 (ნული მთელი ოცდაშვიდი მეასედი) %-სა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური ოდენობა არ გადააჭარბებს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

ამონარიდი სამოქალაქო კოდექსის 625 მუხლის მეხუთე პუნქტიდან: „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის http://www.matsne.gov.ge 04000000005001019067 სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის. სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული 0.27 პროცენტის მიზნებისათვის, გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ/დაკისრებულ პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება სესხის ვადის გადაცილებისას (ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) პირგასამტეხლოს სახით ერთჯერადად არაუმეტეს 20 ლარის (ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტის), აგრეთვე ამ მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად სესხის რეფინანსირების ან სესხის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიოს დაკისრება. სესხის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (მათ შორის, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ისეთი ხარჯების, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას“
2.23 პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ვადამოსული გადასახდელის გადაუხდელობიდან მეორე დღეს და წყდება: ა) მსესხებლის მიერ სესხის ძირი თანხის და პროცენტის გრაფიკის შესაბამისად ნებაყოფლობით სრულად დაფარვის შემთხვევაში, გ) მისოს მიერ მოთხოვნის იძულებით აღსრულებამდე.
2.24 სესხის მიღება-გაცემა ხდება ლარში. ვალდებულება სრულდება ეროვნულ ვალუტაში.
2.25 სესხის ძირი თანხა და საპროცენტო სარგებელი გადახდილ უნდა იქნეს კრედიტის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად (დანართი #1), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების… განუყოფელ ნაწილს;
2.26 მისოსთან შეთანხმებით, მსესხებლის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელია სესხის რესტრუქტურიზაცია/რეფინანსირება (მათ შორის, გრაფიკით დადგენილი ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობის და გადახდის თარიღის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება), რაც თავის მხრივ იწვევს სესხის დავარვის გრაფიკის ცვლილებას;
2.27 იმ შემთხვევაში თუკი მსესხებელი გადაიხდის გრაფიკით დადგენილ გადასახადზე მეტს, თანხის ნამეტით დაიფარება სესხის ძირი თანხის შესაბამისი ნაწილი;
2.28 კრედიტის ძირითადი თანხა დაფარული უნდა იქნას 2.8 პუნქტით მითითებულ ვადაში;
2.29 მსესხებელს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, რა დროსაც იგი ვალდებულია გადაუხადოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის დარჩენილი ძირი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და სესხის თანხის წინსწრებით (ვადაზე ადრე) დაფარვის შემთხვევაში ან სესხის ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში მესაკუთრე და/ან მსესხებელი (მოვალე) დამატებით იხდის წინსწრების საკომისიოს.
2.30 წინსწრების საკომისიო გამოითვლება სესხის წინსწრებით დაფარვის მომენტში, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად, შეადგენს 2%-ს, თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა, 1%-ს, თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა, 0.5%-ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს თუ დარჩენილია 6 თვემდე ვადა. ამასთან, მსესხებელს, ვადამდე შეწყვეტის/რეფინანსირების საკომისიოსთან

ერთად დაეკისრება საშეღავათო პერიოდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში დარიცხული პროცენტისა და სხვა გადასახდელების გადახდა.
2.31 მსესხებლის მიერ კრედიტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება სესხის საწყისი ძირითადი თანხის 20 %, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში მისო სთავაზობს მსესხებელს ქვემოთ მითითებულ ალტერნატივებს:
2.31.1 ნარჩენი ძირი თანხის განწილვადება იმავე პერიოდზე, ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით;
2.31.2 ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება;
2.32 სესხის დაფარვის თანმიმდევრობა: ა) პირგასამტეხლო; ბ) დარიცხული სარგებელი; გ) სესხის ძირითადი თანხა.
2.33 კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხით არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად, თუ მომხმარებელმა ზეპირად ან/და წერილობოთ არ მოითხოვა სესხის წინსწრებით დაფარვა.

3. სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფა:

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებისა მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფას წარმოადგენს წელს დადებული N ------ კრედიტისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულებისა განუყოფელ ნაწილს;
3.2 იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანი სრულად არ ფარავს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებს, მისოს მოთხოვნები დაკმაყოფილდება მსესხებლის სხვა უძრავ-მოძრავი ქონებიდან.

4. მისოს უფლება-მოვალეობანი:

4.1 მისო ვალდებულია არ გასცეს არანაირ ინფორმაცია, მსესხებლის შესახებ გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესებისა;
4.2 მისო უფლებამოსილია:
4.2.1 მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, სესხისა და დარიცხული სარგებლის და პირგასამტეხლოს გადაუხდელობის, ანუ ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიიღოს დაკმაყოფილება იპოთეკის საგნიდან და ამ მიზნის მისაღწევად იხელმძღვანელოს იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებული უფლებებით.
4.2.2 ნებისმიერი პირისგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტები, როგორც სესხის მიზნობრივი გახარჯვის შესამოწმებლად, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად.
4.2.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე 201-ე და 295-ე მუხლების შესაბამისად მისო უფლებამოსილია ერთპიროვნულად მსესხებლის თანხმობის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგანთან ერთად დაუთმოს მესამე პირს;
4.2.4 თუ გასაყიდად გადაცემული ან დათმობილი იპოთეკის საგანი ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული, მსესხებლის მიერ მისი უკან დაბრუნების თხოვნისა და მის მიერ დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოსა და 5.1.4. პუნქტში მითითებული საკომისიოს გადახდის შემთხვევაში მისო უფლებამოსილია დაიბრუნოს ეს მოთხოვნა, იპოთეკის საგანი და გაუახლოს მსესხებელს სესხი(გაუკეთოს რესტრუქტურიზაცია).
4.2.5 მისო უფლებამოსილია ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით, საკრედიტო ხაზისა და დამატებითი ხელშეკრულებებით მინიჭებული სხვა უფლებებით.

5. მსესხებლის/უფლება-მოვალეობანი:

5.1 მსესხებელი ვალდებულია:
5.1.1 დაფაროს სესხის თანხა ან/და მასზე დარიცხული სარგებელი გრაფიკის შესაბამისად, გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში (გრაფიკის დარღვევა) _ გადაიხადოს შეთანხმებული პირგასამტეხლო, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალსიწინებულ შეთმხვევაში, ვადაგადაცილებლი დროისთვის არსებული პროცენტი;
5.1.2 მსესხებელს არა აქვს უფლება მისოს წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე იყოლიოს მონაცვლე ან გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ;
5.1.3 თუ მსესხებელს აქვს რამდენიმე სესხი, სარგებლის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში იგი ვალდებულია სარგებელი (%-ი) გადაიხადოს პირველ რიგში იმ სესხზე რომელზეც %-ის გადაუხდელობის გამო უფრო მეტი ვადაა გასული, ან უზრუნველყოს დავალიანების დაფარვა ყველა სესხზე ერთდროულად;
5.1.4 სარეალიზაციოდ გადაცემული იპოთეკის საგნის ან მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით გადაცემული მოთხოვნისა და უზრუნველყოფის საგნის უკან დაბრუნების შემთხვევაში გადაუხადოს მისოს საფოსტო-სატელეფონო, ექსპერტ-სპეციალისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და საკომისიო არაუმეტეს იპოთეკის საგნის **ღირებულების 7 %-ისა**;
5.1.5 შეამციროს სესხის თანხა, ან გაზარდოს უზრუნველყოფა სხვა უზრუნველყოფით შესაბამის ოდენობამდე, უზრუნველყოფის საგნის შეფასების ტარიფების კლების მიმართულებით შეცვლის შემთხვევაში მისოს მიერ შეცვლის შესახებ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ვადებში;
5.1.6 მსესხებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მისოს ზარალი, რომელიც მას მიადგება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევით;
5.1.7 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მსესხებელს უფლება არა აქვს მისოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკისროს ვალები და/ან ვალდებულებები მესამე პირის (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი) წინაშე;

5.1.8 მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს მისოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და შეცვლის თარიღის შესახებ, ასევე ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში არსებული ან მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების და ასევე იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები;

6. მსესხებლის განცხადებები გარანტიები და პასუხისმგებლობა:

6.1 მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.1.1 გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების დადების და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობები და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა;

6.1.2 არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში მათ შორის სისხლის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რითაც საფრთხე ემუქრება მის ქონებას (უზრუნველყოფას) და მის მიერ მისოს წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას;

6.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღეს მისი საცხოვრებელი ადგილია ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი;

6.1.4 მის მიერ იპოთეკარისთვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისთვის არის უტყუარი, ზუსტი და სრული;

6.1.5 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და სხვა გარემოებების გამოყენების გარეშე, ამასთან მესაკუთრისთვის ცნობილია, რომ ყალბი ცნობის, ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდება საკრედიტო ან/და იპოთეკის ხელშეკრულების გასაფორმებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დასჯადი ქმედებაა;

6.2 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მომხმარებელს აქვს ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანება და მომხმარებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, თუ მომხმარებელი **წერილობით** დააფიქსირებს განცხადებას უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ შემოტანილი თანხის წარმართვა კონკრეტული სესხის დასაფარად, შესაბამისად უფლება აქვს აირჩიოს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა.

7. ხელშეკრულები მოქმედების ვადა, მისი შეცვლისა და შეწყვეტის პირობები:

7.1 მისო უფლებამოსილია ქვევით მითითებული რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში შეწყვიტოს წინამდებარე და იპოთეკის ხელშეკრულებები და მოითხოვოს სესხის ძირი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივი სრული დაფარვა;

7.2 მსესხებელი ვალდებულია, 7.1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის მიღებიდან, მისოს მიერ მითითებულ ვადაში, დაფაროს სესხის ძირი თანხა, დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ ყველა სხვა თანხასთან ერთად;

7.3 მისოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა, კერძოდ თუ:

7.3.1 გავიდა სესხის სარგებლობის ვადა (გრაფიკით დადგენილი ვადა);

7.3.2 ადგილი აქვს მსესხებლის მიერ გრაფიკით დადგენილი გადახდების დარღვევას;

7.3.3 მსესხებელი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას;

7.3.4 არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილება იპოთეკის საგნის, მსესხებლის ან/და თავდების (თავდებების) ფინანსურ ან/და ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს სასესხო ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით შესრულება;

7.3.5 ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელსაც ადასტურებდა მსესხებელი ან/და თავდები (თავდებები) ან რაც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან კავშირში, აღმოჩნდება არსებითად არასწორი;

7.3.6 მისოსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე სესხის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენება მოხდა ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მიზნობრიობის დარღვევით;

7.4 მსესხებელს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, რა დროსაც იგი ვალდებულია გადაუხადოს მისოს დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ნარჩენი ძირი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი.

7.5 მხარეები ადასტურებენ გამსესხებლის უფლებას, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები (მათ შორის, საპროც ენტო სარგებელი, პირგასამტეხლო). ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ი ნფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2
(ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობი თ ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში), მოკლე ტექსტური შეტყობინებით (მობილური ტელეფონის ნომერზე) ან გამსესხებლისთვის ცნობილ და მომხმარებლის მიერ მოწოდებულ მისამართზე. ამასთან, გამსესხებელი არ არის ვალდებუ ლი წინასწარ აცნობოს მსესხებელს/მესაკუთრეს ცვლილება, თუ ხელშეკრულების პირობები იცვლება მსესხებლის/მესაკუთრი ს სასარგებლოდ.

8. სხვა პირობები:

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე;

8.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და არ გაახმაურონ ხელშეკრულების პირობები, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი მისოს ანიჭებს უპირობო უფლებას:

8.3.1 მსესხებლის შესახებ ინფორმაცია გადასცეს ს.ს. ,,კრედიტინფო საქართველოს~ (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეგისტრაციის ნომერი #06/5-51), რაც იწვევს მსესხებლის აღრიცხვას სს `კრედიტინფო საქართველოს~ მონაცემთა ბაზაში.

8.3.2 გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს, აგრეთვე კლიენტის მსხვილი აქციონერებისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში, ფოსტით/კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინებები უნდა ჩაბარდეს პირადად ან ოჯახის სრულწლოვან წევრს ან გაიგზავნოს დაზღვეული ან რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, ინტერნეტბანკინგით, მობილბანკით, მოკლეტექსტური შეტყობინებით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და იგი ჩაითვლება ჩაბარებულად ნებისმიერი აქ დათქმული ფორმით გაგზავნისას;

8.5. მხარეთა ადგილსამყოფელზე გაგზავნილი შეტყობინებები ითვლება მის მიერ მიღებულად, მიუხედავად იმისა, მისი რეალური ადგილსამყოფელი ემთხვევა თუ არა შეტყობინების გაგზავნის დღეს, გამგზავნისთვის ცნობილ მისამართს, თუ ადგილსამყოფელის შეცვლისა და შეცვლის თარიღის შესახებ, მხარეს წერილობით წინასწარ არ უცნობებია შეტყობინების გამგზავნი მხარისათვის;

8.6. ნებისმიერი მესამე პირი, ვინც დაფარავს კრედიტს, გადაიხდის სარგებელს, ან შეასრულებს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებას, ჩაითვლება მსესხებლის წარმომადგენელად, ასევე, მისოს მიერ მისთვის გადაცემული წერილობითი შეტყობინება ჩაითვლება უშუალოდ მსესხებლისათვის გადაცემულად;

8.7. ხელშეკრულების ერთერთი მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას;

8.8. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას;

8.9. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა (მათ შორის, რესტრუქტურიზაციისას სესხის დაფარვის პირობების შეცვლა) ხდება მხარეთა ხელმოწერით და მისოს ბეჭდით დადასტურებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული წესით დამოწმებული შეთანხმება ხდება ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

8.10. წარმოშობილ დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობისას დავას განიხილავს სასამართლო ამ ხელშეკრულების შედგენის ადგილის მიხედვით ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟი. (მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ადგილია ამ ხელშეკრულების დადების ადგილი) მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყონებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11-ლი ნაწილის შესაბამისად;

8.11. მსესხებელს/თანამსესხებელს/მესაკუთრეს შეუძლია ორგანიზაციას წარუდგენოს ნებისმიერი ტიპის პრეტენზია, სტანდარტული წერილობითი/ელექტრონული ან/და ზეპირი ფორმით, ნებისმიერი ტიპის პრეტენზიაზე პასუხი მხარეს გაეცემა ერთი თვის ვადაში, იმავე ფორმით რა ფორმითაც მიმართავს მხარე, ორგანიზაციას. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ორგანიზაციის ნებისმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია რგანიზაციის ცხელ ხაზზე, ასევე ნებისმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში.

8.12. ფინანსური ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

8.13. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება მისოს.

8.14. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს მისო „ბერმელში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემული გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა, ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა .

9. მხარეთა რეკვიზიტები

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი“

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“
ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ 93/99

ტელეფონი: **(0422) 27 56 50**
(+995) 568 700 300
წარმომადგენელი:----------

(სახელი– გვარი, ხელწერა, ბეჭედი)

„ მსესხებელი“

ფიზიკური/იურიდიული პირი: ----------
პირადი ნომერი: ----------
მისამართი:----------

ტელეფონი:----------

(სახელი – გვარი, ხელწერა)